საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მესაწოლე

მესაწოლე, პირადად მეფის და მისი „საწოლის“ (მეფის კაბინეტი და აპარტამენტები) მცველი ფეოდალურ საქართველოში. „ჴელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მ. მესაწოლეთუხუცესს ექვემდებარებოდა, ხოლო „მესაწოლენი“ და „წინამწოლები“, მ-ს. ისინი მეფის პირადი მცველები იყვნენ და „საწოლის“ შიგნით იმყოფებოდნენ, ხოლო „საწოლის მეკარე“ და „კარის დარაჯა“ კი გარედან უზრუნველყოფდნენ „საწოლის“ დაცვას. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, შეიარაღებული „სხეულის მცველი“ მუდამ მეფესთან იმყოფებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით „წინამწოლი“ და „საწოლის მეკარე“ ამავე ფუნქციებს ასრულებენ. „ „ჴელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, მ-თა რაოდენობა 700 კომლი იყო (8 კომლი გლეხების, დანარჩენი – აზნაურების). ხელმწიფის კარზე მუდმივად იმყოფებოდა და მგზავრობისას მეფეს თან ახლდა 700 შუბოსანი მ.

მ. დიდი დარბაზობისა და პურობის დროს მუდამ შეიარაღებული იყო. გვიანფეოდალურ საქართველოში მ. სპარსული სამოხელეო ტერმინი – „ყორჩით“ – შეიცვალა.

ლიტ.: ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 2002; გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, „ენიმკის მოამბე“, 1942, ტ. 13; ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი), თბ., 2017;

ი. უჯმაჯურიძე